გამგზავრების წინა საკონტროლო ნუსხა

- ☐ მე გავგზავნე ჩემი **დამატებითი ბარგი**. ბარგის რაოდენობა და დასაშვები კილოგრამების რაოდენობა გარკვევით არის მითითებული ჩემი ჯავშნის ფურცელზე.
- ☐ მე მაქვს **IOM-ის პარკი**, მას ვატარებ, საჭიროებისამებრ, თვალსაჩინოდ აეროპორტში ტრანზიტის და ჩაფრენის დროს დახმარების მისაღებად.
- ☐ მე მაქვს ჩემი და ჩემი თანმხლები პირების მოქმედი პასპორტის დედანი ან საგანგებო სამგზავრო **დოკუმენტი/Laissez Passez**
- ☐ ხელბარგში არ მაქვს არანაირი ტიპის **სითხე** (მათ შორის თხევადი საჭმელი ან თხევადი კოსმეტიკური საშუალებები), **კრემები ან პასტები.**
- ☐ მგზავრობის დროს ჩემი **სპეციალური საჭიროების** შესახებ ვაცნობებ ჩემს კონსულტანტს (საკვები, წამალი, ინვალიდის ეტლი, ავადმყოფობა, სხვა).
- ☐ **ორსული ქალბატონებისთვის:** მე მაქვს ექიმის ცნობა, რომელიც მაძლევს როგორც **ორსულს** თვითმფრინავით მგზავრობის უფლებას და სადაც მითითებულია ჩემო ორსულობის კვირების რაოდენობა.
- ☐ ჩემს ხელბარგში მაქვს ყველა საჭირო **წამალი და საშუალება**, რომელიც შეიძლება დამჭირდეს მგზავრობის დროს და ჩემი ექიმის მიერ გაცემული ცნობის/რეცეპტის დედანი.
- ☐ ყველა სხვა წამალი, რომელიც არ მჭირდება ფრენის დროს შენახულია შემოწმებულ ბარგში სატვირთო სექტორში.
- ☐ არასრულწლოვანი თანხმლები პირის გარეშე: თან მაქვს მგზავრობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი, როგორც **თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვან პირს**, მათ შორის ჩემი მშობლების და ჩემი კანონიერი მეურვის თანხმობა.

  <u>გამოიყენეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოითხოვეთ და სარგებლობთ სარეინტეგრაციო დახმარებით:</u>
- ☐ მე ხელი მოვაწერე **სარეინტეგრაციო დახმარების მიღების განაცხადის ფორმას** გამგზავრებამდე კონსულტაციის დროს.
- ☐ მე ხელს მოვაწერ სარეინტეგრაციო შეთანხმებას გამგზავრების დროს აეროპორტში.
- ☐ თან ვიქონიებ და შევინახავ ორიგინალ დოკუმენტს, დაბრუნების შემდეგაც კი.
- ☐ მე მესმის, რომ ჩემს ქვეყანაში არსებული IOM-ის ოფისის საკონტაქტო დეტალები მოცემულია სარეინტეგრაციო შეთანხმებაში.

თქვენი კონსულტანტის ან სოციალური დამხმარის კომენტარები:

დაბრუნების მსურველი მიგრანტების მოგზაურობის სახელმძღვანელო

ბელგიიდან ნებაყოფლობით დაბრუნება

GEORGIAN

Towards a more integrated migration policy, made possible by the AMIF

fedasil
FEDERAL AGENCY FOR THE RECEPTION OF ASYLUM SEEKERS

International Organization for Migration (IOM)
Organisation internationale pour les migrations (OIM)
Internationale Organisatie voor Migratie (IOM)

სამშობლოში ბრუნდებით?

ბელგიიდან ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
თქვენ დახმარებისთვის მიმართეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM) ბელგიიდან ნებაყოფლობით დაბრუნების თაობაზე. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ დაგეხმაროთ დაბრუნების პროცესის ყველა ეტაპზე.

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ამ ბროშურას.

დაბრუნდით დღეს, რომ ააშენოთ ხვალინდელი დღე

აეროპორტში (ბრიუსელის საერთაშორისო აეროპორტი/ზავენტემი)

• თქვენ მკაცრად უნდა დაიცვათ ბარგის რაოდენობასთან და წონასთან დაკავშირებული რეგულაციები, რათა მოხდეს თქვენი უპრობლემო მგზავრობა და დაყოვნების თავიდან აცილება.
• შეხვედრა ხდება გამგზავრებამდე სამი **საათით ადრე**. რიგი 6.

• მე-6 რიგთან თქვენ შეხვდებით IOM-ის აეროპორტის დამხმარე პერსონალს.მათი ამოცნობა ადვილია, რადგან ატარებენ ლურჯ IOM-ის ქურთუკს და კეპს.



რიგი 6

• IOM-ის აეროპორტის დამხმარე პერსონალი დაგეხმარებათ თვითმფრინავის ბორტზე ასვლამდე პროცედურების გავლაში, მათ შორის თქვენი ბარგის ჩაბარებაში, უსაფრთხოების და პასპორტის კონტროლის გავლაში.

• IOM-ის აეროპორტის დამხმარე პერსონალი მიგაცილებთ თვითმფრინავში ჩასხდომის დარბაზამდე, სადაც გადმოგცემენ თქვენი ჩაჯდომის ტალონს.

• უმჯობესია გამოიყენოთ **IOM-ის ჩანთა** თქვენი ადვილად ამოცნობის მიზნით IOM-ის თანამშრომლების მიერ მთელი მგზავრობის მანძილზე საბოლოო აეროპორტში ჩასვლამდე.

ტრანზიტის დროს

• თუ თქვენ არ გაქვთ პირდაპირი ფრენა, IOM-ის თანამშრომლები დახმარებას გაგიწევენ ევროპის ძირითად აეროპორტებში.

• გამგზავრებამდე გაკეთებული შეთანხმების საფუძველზე, IOM დაგეხმარებათ ევროპის გარეთ ტრანზიტის შემთხვევაშიც, თუ ეს შესაძლებელია .

• თუ თქვენ IOM გეხმარებათ ტრანზიტის დროს, სავალდებულოა თან იქონიოთ თქვენი IOM-ის ჩანთა. ეს საშუალებას მისცემს IOM-ის თანამშრომლებს თქვენი იდენტიფიკაცია მოახდინონ ადვილად.

• IOM უზრუნველყოფს თქვენს დროულ და უსაფრთხო გამგზავრებას დამაკავშირებელი ფრენის დროს.

• თუ თქვენ აცნობეთ თქვენს კონსულტანტს, რომ თქვენ გჭირდებათ სპეციალური სამედიცინო დახმარება, IOM უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას სამგზავრო კომპანიასთან და აეროპორტთან შეთანხმებით.

• თუ ღამის გათევა გიწევთ ტრანზიტის დროს, IOM უზრუნველყოფს თქვენს დაბინავებას შესაძლებლობის ფარგლებში

ჩამოსვლის დროს

• წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, IOM დაგხვდებათ ჩამოსვლის დროს დანიშნულების ადგილზე და უზრუნველყოფს თქვენს ტრანსპორტირებას საბოლოო დანიშნულების ადგილამდე თქვენს მშობლიურ ქვეყანაში. IOM -ის მიერ ადვილად იდენტიფიკაციის მიზნით, თან იქონიეთ IOM-ის ჩანთა.

• IOM დაგეხმარებათ ყველა აუცილებელი პროცედურის, მათ შორის საბაჟო და საემიგრაციო კონტროლის გავლაში.

• თუ თქვენ გჭირდებათ სპეციალური სამედიცინო დახმარება, IOM უზრუნველყოფს თქვენს დახმარებას კომპლექსური მომსახურებით (მაგალითად სასწრაფო დახმარების მანქანა და/ან ექიმი).

შინ მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ!

ბელგია და ლუქსემბურგი

ბრუსელი,1000,
მონტიერსტრატის ქ. 40

ტელეფონი: +32 (0) 2 287 70 00
ფაქსი: +32 (0) 2 287 70 05
ელ. ფოსტა: IOMBrusselsREAB@iom.int
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია